

ვაჟა-ფშაველას მოთხოვნების სტილი ინგლისურენოვან თარგმანებში

ნათია თითბერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია თითბერიძე

25.06.2021

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში „ვაჟა-ფშაველას მოთხრობების სტილი ინგლისურენოვან თარგმანებში“ განხილულია ვაჟა-ფშაველას მოთხრობების („ია“, „მთანი მაღალნი“, „ხმელი წიფელი“, „ამოდის, ნათდება!“ და „ფესვები“) სტილური თავისებურებების ინგლისურენოვან თარგმანებში შენარჩუნების პრობლემა. გაანალიზებულია თითოეული ტექსტის ორი ინგლისური თარგმანი. საგულისხმოა, რომ თითოეულ შემთხვევაში არსებობს ტექსტების როგორც ინგლისურენოვანი, ისე ქართულენოვანი მთარგმნელების მიერ შესრულებული თარგმანები, რაც ტექსტების შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი იყო. კერძოდ, გაანალიზებულია შემდეგი მოთხრობები: „ია“ (მთარგმნ. ჯორჯ ჰიუიტი, 2019; მთარგმნ.-ები ლეილა გამსახურდია და ირინა პეტროვა, 2014), „მთანი მაღალნი“ (მთარგმნ. ჯორჯ ჰიუიტი, 2019; მთარგმნ.-ები ლეილა გამსახურდია და ირინა პეტროვა, 2014), „ხმელი წიფელი“ (მთარგმნ. ჯორჯ ჰიუიტი, 2019; მთარგმნ.-ები ლეილა გამსახურდია და ირინა პეტროვა, 2014), „ამოდის, ნათდება!“ (მთარგმნ. ჯორჯ ჰიუიტი, 2019; მთარგმნ.-ები ლეილა გამსახურდია და ირინა პეტროვა, 2014), „ფესვები“ (მთარგმნ. ჯორჯ ჰიუიტი, 2019; მთარგმნ. ლალი ჯოხაძე, 2014).

ნაშრომში გამოყოფილია რამდენიმე მახასიათებელი, რომლებიც ვაჟა-ფშაველას მოთხრობების სტილურ თავისებურებას განაპირობებს, მათ შორის: დიალექტიზმების, კომპოზიტიური ეპითეტების, გამეორების, სინონიმური ჩამონათვალისა და ნართანიანი მრავლობითის ხშირი გამოყენება. სამიზნე ტექსტებში აღნიშნული სტილისტური მახასიათებლების ტრანსპოზიციის ანალიზი ეფუძნება ვინე და დარბელნეს პირდაპირი და ირიბი თარგმანის მოდელს, რომლის ფარგლებში ისინი გამოყოფენ რამდენიმე მთარგმნელობით ხერხს: სესხება, კალკირება, სიტყვასიტყვითი თარგმანი, ტრანსპოზიცია, მოდულაცია, ეკვივალენტობა და ადაპტაცია.

საკვანძო სიტყვები: სტილი, დიალექტი, ეპითეტი, გამეორება, სინონიმური ჩამონათვალი, კალკირება, ტრანსპოზიცია, მოდულაცია, სიტყვასიტყვითი თარგმანი.

Abstract

Vazha-Pshavela's Prose Style in its English Translations

The thesis deals with the problem of reproducing stylistic characteristics of the selected short stories by Vazha Pshavela into English translations. Two versions of each story used for analysis – one by a native speaker and one by Georgian translators – are available, which was one of the criteria of selection. More specifically, the following stories were analyzed: “The Violet” (translated by George Hewitt, 2019; translated by Leila Gamsakhurdia and Irina Petrova, 2014) “The Lofty Mountains” (translated by George Hewitt, 2019; translated by Leila Gamsakhurdia and Irina Petrova, 2014), “The Withered Beech” (translated by George Hewitt, 2019; translated by Leila Gamsakhurdia and Irina Petrova, 2014), “It’s Rising!, It’s Getting Light!” (translated by George Hewitt, 2019; translated by Leila Gamsakhurdia and Irina Petrova, 2014) and “The Roots” (translated by George Hewitt, 2019; translated by Lali Jokhadze, 2014).

The thesis provides an overview of Vazha-Pshavela's literary style and identifies some of the key stylistic characteristics of his short stories: compound epithets, repetition, synonyms, dialect and the use of relatively archaic plural forms. The problem of reproducing the authorial style marked by the mentioned characteristics in the target texts was addressed by applying the model offered by Vinay and Darbelnet, namely direct and oblique translation and translation procedures, such as: borrowing, calque, literal translation, transposition, modulation, equivalence and adaptation.

Key words: Style, dialect, epithet, repetition, listing synonyms, calque, transposition, modulation, literal translation.